

## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი მატერიალური კულტურის ძეგლები

### თაღოვანი ხიდები:

#### მახოს ხიდი

ხიდი აგებულია მდინარე მახოსწყალზე, რომელიც ჭოროხის მარცხენა შენაკადთან, სოფელ მახოში მდებარეობს. ის ერთთაღიანი წრიული ფორმისაა. ხიდის სიგრძეა 15,8 მეტრი,, სიგანე შუაში 2 მეტრი, ნაპირზე კი 2,14 მეტრია. ხიდის სიმაღლე წყლის დონიდან კამარის ზედაპირზე 3,6 მეტრია, მოაჯირის სიგანე 0,5 მეტრია. მისი სიმაღლის განსაზღვრა დაზიანების გამო ვერ ხერხდება. ხიდის ბურჯების სიმაღლე 0,68 მეტრია. ბურჯებს აქვთ წყალგამყოფი. ხიდი ნაგებია კარგად გათლილი კვადრატული ფორმის ქვებით, ხოლო მისასვლელი – ფლეთილი ქვებით კირის ხსნარზე.

#### ცხემლარას თაღოვანი ხიდი (მაჭახლისპირის გადასახვევიდან 10 კმ.)

ცხემლარას ხიდი მდებარეობს მდინარე მაჭახელაზე, ბათუმი-ხულოს ცენტრალურ გზაზე მდებარე სოფელ აჭარისყლიდან 7-8 კმ-ის დაშორებით. ამ ხიდით სარგებლობდა სოფელ ცხემლარას მოსახლეობა XX საუკუნის 60-იან წლებში ახალი სამანქანე ხიდის აშენებამდე. ხიდის სიგრძე ბურჯიდან ბურჯამდე 19,6 მეტრია, სავალი ზედაპირის - 22 მეტრი, შუაწელის სიგანე 1,6 მეტრი. სიმაღლე წყლის დონიდან თაღამდე - 5,3 მეტრი. ნახევრადწრიული თაღის მოხაზულობის ხიდი საკმაოდ ვიწროა და განკუთვნილი იყო ფეხით მოგზაურთათვის. თაღს ამჩნევია მეორადი ქვის ფენა, რაც მას პირველად სახეს უკარგავს. 2008 წელს ცხემლარას ხიდს სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა.

#### ქოქოლეთის (ჩომახურისის) თაღოვანი ხიდი

ხიდი მდებარეობს ქოქოლეთის წყალზე (ერთვის მაჭახელას მარჯვნიდან). ხიდის მალი 10X10მ-ია. წყლის დონიდან თავბანდამდე მანძილი-5,15მ-ია. მარჯვენა ბურჯზე ცალ მხარეს ამოყვანილია ქვების პარალელური წყობა(სიმაღლით 1,54 სმ, სისქით 0,24მ სიგანით 0,90მ) იგი ბურჯის შემადგენელ ელემენტად უნდა ჩაითვალოს არცერთ სხვა თაღოვან ხიდებზე ასეთი რამ არ შეინიშნება. თავის სიგანეა 0,45მ, ლავგარდენი -0,20მ(ლავგარდანი გადმოწეული არ არის) ხიდის სიგანე შუა წელში 1,70მ-ია, მარცხენა მისასვლელის სიგრძე 8მ-ია, სიგანე 2,85მ-ია და 5,30მ) მარჯვენასი კი შესაბამისად- 2,40მ -2,30მ.ია.

ხიდს ფოსოები არ აქვს. მხოლოდ ერთი ვიწრო ხვრელი(0,6X0,8)სმ. შეინიშნება მარჯვენა ბურჯის ზედა მხარეს, რომლის დანიშნულება გაურკვეველია. გადმოცემით ჩიქუნეთელ ახმედ-ალა ხინკილაძეს, რომელიც XVIII საუკუნეში ცხოვრობდა და ხიდიც შესაბამისად ამ პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს.

#### ორთაბათუმის ხიდი

ხიდი მდებარეობს ყოროლის წყალზე ამავე დასახელების სოფელში. ხიდი აშენებულია XVIII საუკუნის ბოლოს. ხიდს გასული საუკუნის (XX) 60-იან წლებში ჩაუტარდა სარემონტო

გამაგრებითი სამუშაოები დაემატა სიფართეში. ხიდი დღესაც ინარჩუნებს თავის პირვანდელ ფუნქციას, მოასფალტირებულია და გამოიყენება როგორც ფეხით მოსიარულეთათვის, ისე სამანქანე ხიდად.

ხიდის თანამედროვე პარამეტრებია: სავალი ნაწილის სიგრძე\_30მ. სიმაღლე წყლის ზედაპირიდან თავბანდამდე-6.50მ. მარჯვენა მისასვლელის სიფართე-12მ, მარცხენა მისასვლელის სიფართე-6.50მ. ხიდის სიფართე შუა წელში 6.50, თავბანდის სიმაღლე 1მ.

### **ჩხერის თაღოვანი ხიდი (მაჭახლისპირის გადასახვევიდან 17.7 კმ.)**

ჩხერის ხიდი მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში (კახეთში). იგი გადებულია მდინარე ჩხერისწყალზე, რომელიც მდინარე მაჭახელას ერთვის მარცხენა მხრიდან. ი.სიხარულიძის გამოკვლევების მიხედვით ხიდი მონაცემები ასეთია: ხიდის მალი 5,7 მეტრია, მალი შედარებით დიდია და შეადგენს 6,3 მეტრს. ეს გამოწვეულია კლდოვანი ნაპირების სიმაღლით: კლდეთა სიმაღლე, რომლებიც ხიდის ბურჯების მაგივრობას ასრულებდა, წყლის დონიდან 3,6 მეტრია. ხიდის სიგანე - 4,2 მეტრი. მარცხენა მისასვლელის სიგრძეა - 1,5 მეტრი, სიგანე - 3,6 მეტრი. თავბანდის სიგრძე შეადგენს 50 სანტიმეტრს. ხიდს „ფოსოები“ არ აქვს, რაც გამოწვეულია მალის სიმცირით, ხიდის ზედაპირი ჰორიზონტალურია.

### **ზვარის თაღოვანი ხიდი**

ხიდი მდებარეობს საფუტკრეთში, ამავე სახელწოდების ღელეზე, რომელიც მდინარე მაჭახელას მარცხნიდან ჩაერთვის. ეს ხიდი ამჟამად სამანქანე ხიდის ქვეშაა, უკანასკნელდრომდე ეს ხიდი სრულად ყოფილა მოღწეული, მაგრამ მდინარის დინამიური დატვირთვისაგან მნიშვნელოვნად დაზიანებულია.

ხიდი მცირე ზომისაა. მილის ზომა 1,8 მეტრია, ისარი 0,9 მეტრი, ხიდის სიმაღლე წყლის ზედაპირიდან თავბანდის თავამდე - 2,1 მეტრი, ბურჯის სიმაღლე - 1,2 მეტრი, სიგანე - 1,45 მეტრი. რადიალურად ნაწყობი თაღის ქვების სიგანე - 0,3 მეტრია, თაღზე გამოყენებულია ჰორიზონტალური წყობა ქვებისა 0,8-1 მეტრია, ლავგარდანის გამოწვევა 0,04-0,05 მეტრი. ხიდის სიგანე - 1,55 მეტრია. ხიდის მარჯვენა მისასვლელის სიგრძე - 5,6 მეტრია, სიგანე - 3 მეტრია, ხოლო მარცხენა 1,5-2 მეტრია.

### **მირვეთის თაღოვანი ხიდი**

მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მირვეთში, აწარისწყლის გადასახვევიდან 3460 მეტრზე. ხიდი აშენებულია ჭოროხის წყლის მარჯვენა შენაკადზე XIII საუკუნეში.ხიდის პარამეტრებია: სიგრძე-12მ, სიფართე შუა წელში- 2მ, სიმაღლე წყლის ზედაპირიდან თავბანდამდე- 5მ,თავბანდის სიმაღლე 52 სმ, მარჯვენა მისასვლელის სიფართე- 4.20მ, მარცხენა მისასვლელის სიფართე- 3.5მ

### **ციხეები**

#### **გვარას ციხე (ბათუმიდან 24კმ.)**

გვარას ციხე მდებარეობს მდინარე ჭოროხისა და მაჭახელას წყლის შესართავთან 300 მეტრის მოშორებით და დაშენებულია ხეობის წინ წამოზიდულ კლდოვან ბორცვზე. ციხის

კედლების დიდი ნაწილი ჩამოქცეულია გარდა სამხრეთ დასავლეთისა და ჩრდილოეთ დასავლეთის დასავლეთის მონაკვეთებისა. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 5-6 მეტრია.

ციხის ტერიტორიაზე ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოების ჩატარების შედეგად აღმოჩენილი მასალების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ციხე ამ ადგილას დაახლოებით VI-VII საუკუნეში არსებობდა. ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო ციხე მოგვიანებითაც გამოუყენებიათ, XI-XIII საუკუნეებში მისი აღდგენა-განახლება უნდა მომხდარიყო. გვარას ციხე ყველა ეპოქაში თავისი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის გამო აქტიურ როლს თამაშობდა ჭოროხისა და მაჭახელას ხეობებზე ზღვისპირეთისაკენ თუ ძღვისპირეთიდან კლარჯეთისა და არტანუჯისაკენ მიმავალი გზების გაკონტროლებაში.

## **ჩხუტუნეთის ციხე**

ჩხუტუნეთის ციხე მდებარეობს მდინარე მაჭახელას მარცხენა სანაპიროზე, მაჭახელასწყლისა და დავითეთის ღელის შესართავთან არსებულ მაღალი კლდის ბორცვზე. ციხე ზემოდან აკონტროლებდა მაჭახლის ხეობაში გამავალ იმ სამხედრო სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის გზას, რომელიც ზღვისპირეთს აკავშირებდა შავშეთთან, არტანუჯთან და სამხრეთ საქართველოს სხვა ოლქებთან.

აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების აჭარაში არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობანი ხეობის სათავეებიდან თითქმის ზღვისპირეთამდე ერთ მთლიან ჯაჭვს ქმნიდნენ და აკონტროლებდნენ რეგიონში არსებულ გზებს. ჩანს, რომ აჭარისწყლის ხეობა, ისევე როგორც მთლიანად აჭარა, საგულდაგულოდ იყო გამაგრებული.

ჩხუტუნეთის ციხის შიდა ფართობი 200 კვ.მეტრია. მისი გალავნის დიდი ნაწილი დაზიანებულია. შემონახულია მხოლოდ ჩრდილოეთის კედელი. გალავნის სიგრძე ამ მონაკვეთში 8 მეტრია, სიმაღლე გარედან 2 მეტრი, კედლის სისქე 1 მეტრამდე აღწევს.

ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სხვადასხვა ტიპის ნაგებობები. აღსანიშნავია აღმოჩენილი გვირაბი, რომელიც ციხის ჩრდილოეთ ნაწილში იწყება და მიშენებულია გალავლის კედელზე. ის უკავშირდება მდინარეს, საიდანაც მეციხოვნეებს ამოჰქონდათ წყალი და საჭირო დროს თავშესაფრადაც იყენებდნენ. ამჟამად შემორჩენილი გვირაბის სიგრძე 31-32 მეტრია, სიგანე 0,70-0,80 მეტრი, სიმაღლე საშუალოდ 1,30 მეტრი, ზოგან კი 2,5 მეტრია. ციხის ახლოს ფერდობზე რამდენიმე წლის წინ შემთხვევით აღმოჩნდა მარანი, სადაც სხვადასხვა ზომის 8 ქვევრი იყო განლაგებული. ციხეც და მარანიც XI-XIII საუკუნეებით თარიღდება.

## **ყოროლისთავის ციხე**

ციხე აშენებულია კლდოვან სერზე, რომლის სიმაღლე მდინარე ყოროლისწყლიდან დაახლოებით 60 მეტრია. შემორჩენილია კოშკი და გალავნის ნაშთი. ციხეს დაახლოებით 300მ<sup>2</sup> ტერიტორია უკავია.

კოშკის ფართობი 16,2მ<sup>2</sup>, ნაგებია ფლეთილი ქვით კირის ხსნარზე. სიგრძეა 6,50მ, ხოლო სიგანე 5,45მ. კედლის სისქე მერყეობს 90სმ-დან 1მ-მდე. კოშკისგან 30მ დაშორებით შემორჩენილია ციხის გალავნის ნაშთი 3 სათითურითა და კარებით.

სამხრეთიდან გარე კედლის სიმაღლე 10,5მ-ია, ხოლო ჩრდილოეთი მხრიდან (შიდა მხრიდან) 2მ და 80სმ. კედელში 2მ სიმაღლეზე დატანებულია სათოფურები. სათოფურებს შორის მანძილი 124სმ-ია, ზომები(30×33 და 28×18) კარების სიგანე 80სმ. კარებს შიდა მხარეზე კედელში დატანებული აქვს ხვრელი(ზომით 18×25) ხვრელის სიღრმე 1 მეტრამდეა. ეს

საურდულე ხვრელი უნდა იყოს გალავნის სისქე 135სმ. ქვის წყობისა და სათოფურების მიხედვით ეს ციხე ხვი-ხვიისს შეიძლება დათარიღდეს.

## ეკლესიები

### ფერიცვალეების სახელობის ეკლესია

ახალშენის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალშენში. ზღვის დონიდან 100 მეტრზე მდ. ბარცხანის ნაპირზე, აგებულია მეოცე საუკუნის დასაწყისში. აშენებულია რიყის და თლილი ქვით. შენობის სიგანე 11 მეტრია, სიგრძე საკურთხეველის ჩათვლით 16 მეტრი, სიმაღლე გუმბათითურთ\_21მ.

ტაძარი საუკუნის დასაწყისში ააგეს პონტოელმა ბერძნებმა, რომლებიც აქ 1878წ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ჩამოსახლდნენ.

ამ ტაძარში წირვა-ლოცვა გასული საუკუნის 30-იან წლებამდე აღევლინებოდა.

საბჭოთა წყობილების დროს ტაძარს კოლმეურნეობა საწყობად იყენებდა. ჩამოიქცა გუმბათი, განადგურდა კარ-ფანჯარა, გაფუჭდა იატაკი.

ტაძრის აღდგენა გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო ბერძნებმა. შეკეთდა გუმბათი, დაიხურა შენობა. სამწუხაროდ მეტი არაფერი მოხერხდა, რადგან სიდუხჭირით ბერძენთა ელადაში, მათ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება დაერთო. მძიუხედავად ამ სიძნელეებისა ტაძარი მაინც აღსდგა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ახალშენელებს: ბატონ ასლან თავდგირიძესა და ექიმ-სტომატოლოგ გურამ დუმბაძეს. 1994 წლის 24 აპრილს ეკლესიის ეზოში ხალხი შეიკრიბა. დასუფთავდა და დალაგდა ეზო-შემოგარენი, მოეწყო მდინარეზე ჩასასვლელი გზა.

8 მაისს აღდგომის კვირადღეს, ბერძენთა ტრადიციისამებრ სასაფლაოზე გასვლის დღეს მამა გიორგიმ(მუმლაძე) ახალშენის ეკლესიაში ტაძრის კურთხევის 82 წლისათვის აღსანიშნავად პარაკლისი გადაიხადა.

განახლდა და გამაგრდა გუმბათის ჩუქურთმები, ჩაისვა სამრეკლოები, აშენდა ქვის კანდელი, მოეწყო შიდა განათება, დაიკიდა საკათედრო ტაძრიდან შემოწირული ჭალი. კვანდელი სასულიერო სემინარიის სტუდენტმა იოანე ბაბილოძემ მოხატა, გუმბათის ყელი-ხატმწერმა მერაბ დევაძემ.

### ყოვლადწმინდა სამების დედათა მონასტერი

სამების ეკლესია აგებულია აჭარა-გურიის ქედის შავიზღვისპირა დაბლობის დასავლური განშტოების გორაკზე ზღვის დონიდან 400მ. სიმაღლეზე, საიდანაც მშვენიერი ხედი იშლება: დასავლეთით– შავი ზღვა, სამხრელ-დასავლეთით მდ.ჭოროხის დელტა-კახაბრის დაბლობი, ჩრდილო-დასავლეთით ჩაქვისა და ქობულეთის ქედები, აღმოსავლეთით ახალშენის და ჩელტის სანახები. სამების ეკლესიაზე მდიდარ ფაქტობრივ მასალას ვპოულობთ დავით ბაქრაძის წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობანი გურიასა და აჭარაში“, იგი წერს: „ ბათუმის ახლოს მაღალ გოროზე დგას მაღალი ეკლესია სამებისა, ჩამოვარდნილი გუმბათით“. სამებაში იყო წარწერიანი საფლავების ქვები, ორი მარმალისოს ერთ მათგანზე ეწერა: „ ღმერთო აცხოვნე მარიაში“

ფრანგი ორიენტალისტი ჟან მური (1884წ) წერს : ბათუმიდან 5 ვერსის მოშორებით კახაბრის ქედსა და ნაკინის ჭვარს შორის მდებარე სამების ეკლესიის ნანგრევებზე, აქ აღმოჩენილი დიდ მარმარილოს ქვაზე აწერია: „ უფალო განუსვენე თამარის სულს“.

სამების ეკლესია 1875 წლამდე უვნებელი ყოფილა, მაგრამ 1877–1878წ რუსეთ-თურქეთის ომის დროს ოსმალებს აუფეთქებიათ.

დღეისათვის მიმდინარეობს სამების ყოვლადწმინდა სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა, რომელსაც ღირსეული მამულიშვილი ბატონი შალვა ბრეუსი აშენებს.

### **კარის ღვთისმშობლის ეკლესია**

მდინარე აჭარისწყლისა და ხმელეთის გასაყარზე, იქ სადაც სოფლის ერთი მხარე მეორე ნაწილს ხიდით უერთდება აგებულია ტაძარი. ჯერ კიდევ მანამ, სანამ აჭარისწყლები მშენებლობას დაიწყებდნენ ახალგაზრდებმა მდინარეში ჯვარგამოსახული ქვა იპოვეს. რომელსაც ტაძარში საგანგებო ნიშაში მიუჩინეს ადგილი.

ტაძრის მშენებლობა 2000 წლის მაისში დაიწყო და ამ პროცესში მთელი სოფელი ჩაერთო, ვინ მატერიალურად, ვინ ფიზიკურად, ვისაც როგორ შეეძლო ისე.

ჯუმბერ ზაქარიაძემ საკარმიდამო მიწასთან ერთად 3000 ლარიც არ დაიშურა და ასე გაიჭრა ბალავარი, რომელიც ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ აკურთხა.

2005 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულზე ივერიის კარიბჭის ღვთისმშობლის ხატი, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, მამა სერგი რუხაძემ და მამა თეიმურაზ ყურავა მრევლის თანხლებით ტაძარში ბათუმიდან ფეხით ააბრძანეს. ტაძარს უხმაუროდ, ზედმეტი აჭიტირებისა და რეკლამის გარეშე აქვს უამრავი შემოწირულობა.

ამჟამად წირვა-ლოცვას აღავლენს მამა თეიმურაზ ყურავა.

✓ **სარფის წმინდათანა 300 მხედართა, მღვდელთათანა ყოველთა მართმადიდებელ ლაზთა ქრისტეს სარწმუნოებისათვის, დუდუყვეთთა და პაპაფში მუსლიმანთაგან წამებულთა მამათა მონასტერი, მდებარე სოფელ სარფში (მშენებარე).**

✓ **სარფის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის დედათა მონასტერი (მშენებარე),**  
სოფელი სარფი

✓ **ქილისე** – ანუ სამლოცველო სოფელ სარფის თავშია აგებული შემადლებულ ადგილზე, მის სამხრეთით მდინარე “კალინდერე” იღებს სათავეს. მთლიანად ამ ადგილს კი “ოკანდალეს” უწოდებენ.

ქილისეს ისტორია

მშენებლობის სტილის მიხედვით ვარაუდობენ, რომ ის აშენებულია ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის შემდეგ. მოგვიანებით გაჩნდა ვერსია, რომ ის VI საუკუნეში აშენებულა.

“ქილისეს” ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძიება არ ყოფილა, ისტორიულ წყაროებშიც არაფერია ნათქვამი ამ ძეგლის შესახებ. გადმოცემით სარფში იყო სამი სამლოცველო ერთი – “ქილისე”, მეორე – “კალინდერე” –სამხრეთით, 20-30 წლებში მესაზღვრეებმა მისი კედლები მოშალეს და ყაზარმა ააშენეს რისთვისაც სამლოცველოს ქვები გამოიყენეს. შემდეგ ყაზარმას ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა.

მესამე სამლოცველო – გაღმა სარფის (თირქეთის) ტერიტორიაზეა, ზღვასთან ახლოს. შამლოცველოდან ზღვაზე მიწისქვეშა გასასვლელი გადიოდა. ოზის გაყვანასთან დაკავშირებით სამლოცველო დაინგრა. მიწისქვეშა გასასვლელი კი ქვებით ამოივსო.

“ქილისე” დიდი რწმენის სავანე იყო. სოფელში თუ ვინმე ავად გახდებოდა, ფეხით სიარულიც რომ არ შეძლებოდა, ნათესავები შემოისვამდნენ ზურგზე, აჰყავდათ ტაძარში და იქ ტოვებდნენ და განკურნებულნი ბრუნდებოდნენ უკან.

ახლა ქილისეს ნანგრევებთან ახლოს შენდება სარფის წმინდათა 300 მხედართა, მღვდელთათა ყოველთა მართმადიდებელ ლაზთა ქრისტეს სარწმუნოებისათვის, დუდუყვეთთა და პაპაფში მუსლიმანთაგან წამებულთა მამათა მონასტერი

## ✓ სარფის წმინდა ანდრია პირველწოდებულის მონუმენტი

### მუზეუმები

ჩხუტუნეთის (მაჭახლის) ისტორიულ–ეთნოგრაფიული მუზეუმი - გაიხსნა 1984 წლის 9 ივნისს. მუზეუმის გახსნის ინიციატორი და დამაარსებელია სოფელ ზედა ჩხუტუნეთის მკვიდრი ზურაბ ნაგერვაძე, რომელიც მუზეუმს ხელმძღვანელობდა დაარსების დღიდან გარდაცვალებამდე (1995წ.), ხოლო 1995 წლიდან მუზეუმს ხელმძღვანელობს მისი ვაჟი მალხაზ ნაგერვაძე.

მუზეუმი განთავსებულია ყოფილი მეჩეთის შენობაში. იგი სამ-სართულიანია. პირველი სართული არის ქვით ნაშენები, ხოლო მეორე და მესამე სართული ხით. თვით ეს შენობა თავისი ხუროთმოძღვრული ორნამენტებით სამუზეუმოა. მუზეუმი მისი დაარსებიდან დღემდე დაათვალიერა დაახლოებით 23000-მა დამთვალიერებელმა.

2007 წლიდან მუზეუმი გადავიდა ხელვაჩაურის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში და შეეცვალა სახელწოდება. ამჟამად იწოდება ჩხუტუნეთის (მაჭახლის) მუზეუმად.

**სარფის მუზეუმი - (მშენებარე),** სადაც თავს მოიყრის ხასან ჰელიმიძის ნახატები და ძველი ლაზური, კოლხური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ყოფა.